



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებას

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სტიქიის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების გამო და უსამძიმრებს ოჯახის წევრებს, ახლობლებს და ქვეყანას. ასევე იმედს გამოვთქვამს, რომ ყველა დაკარგული პირი მოიძებნება და უვნებელი დაბრუნდება თავიანთ სახლებში.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა არაერთხელ აფრთხილებდა მთავრობას და საზოგადოებას კლიმატის ცვლილებების შედეგად მოსალოდნელი გახშირებული სტიქიური მოვლენების შესახებ და მოუწოდებდა კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის პრევენციული სამუშაოების აუცილებლობაზე. წინააღმდეგი ვიყავით გარემოს დაცვის სფეროს ინსტიტუციონალური შესუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯის და დღესაც ვითხოვთ აღდგეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. აგრეთვე, მოხდეს ქვეყანაში წინასწარი შეტყობინების სისტემების განვითარება და გატარდეს შესაბამისი ქმედებები სტიქიასთან პრევენციისა და ბრძოლის ინფრასტრუქტურის გაძლიერებისთვის.

მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტების აზრის გათვალისწინება, როდესაც სტიქიისთვის მოწყვლად ტერიტორიებზე ხდება ინფრასტრუქტურის განაშენიანების ნებართვის გაცემა.

სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა ადამიანს და უწყებას, რომელიც დღეს ცდილობს გადაარჩინოს სტიქიით დაზარალებული ადამიანების სიცოცხლე.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ყველა ადამიანი ჯანმრთელი და უვნებელი დაუბრუნდება საკუთარ ოჯახებს.

პატივისცემით,

საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭო